# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ინფრასტრუქტურის პროგრამების და ქვეპროგრამების ანგარიში

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (0201) |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი | **მიზანი:** საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა<br>**აღწერა:** მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის, ქუჩების და შიდა საუბნო გზების სიგრძე შეადგენს 1426 კმ-ს. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგენს 295.48კმ-ს, ბეტონის საფრიანი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 120.28კმ-ს, გრუნტოვანი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1009.24 კმ-ს. (მ.შ. ქ. ოზურგეთში ქუჩების სავალი ნაწილის საერთო სიგრძე შეადგენს 75 კმ-ს, მ.შ. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგებს 65კმ-ს.) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებები) მოწყობას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა | მიღწეული შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტიურად ხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის და შიდა საუბნო გზებზე რეაბილიტაციის სამუშაოები. სასოფლო დასახლებებში ასევე განხორციელდა გზების კრიტიკულ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა მოსახლეობის ჩართულობით. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული გზების საერთო სიგრძე ადგილობრივი გზების საერთო სიგრძესთან მიმართებაში | 24% | 26% | 29% | 3% | სულ 2025 წელს დასრულდა 14 პროექტი, განხორციელდა 18.8 კმ საერთო სიგრძის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა დასახლებულ ერთეულებში გზების სავალი ნაწილის კრიტიკულ მონაკვეთებზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა. (სულ დაიგო 8603 კბმ მოცულობის ბეტონის საფარი, რაც შეადგენს 19,1კმ-ს). |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეაბილიტირებული ქალაქის გზების საერთო სიგრძე ქალაქში გზების საერთო სიგრძესთან მიმართებით | 87% | 90 | 90 | 0% | |
| იმ ქუჩების წილი, სადაც მოწყობილია ტროტუარები მუნიციპალიტეტის ქალაქის გზების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში | 38% | 40% | 40% | 0% | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი) | წყლის სისტემების განვითარება (0202) |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური, შპს „სატისი“ |
| ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი | **აღწერა:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული ქსელებით მიეწოდება მოსახლეობის 60%, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალმომარაგება ხორციელდება დასახლებაში, მ.შ. ქ. ოზურგეთში, დაბა ნარუჯაში და ურეკი-შეკვეთილი-კაპროვანის საკურორტო ზოლში. მუნიციპალიტეტის 19 დასახლებაში წყალმომარაგება ხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „სატისი“-ს მიერ. სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია ქალაქის მთელ ტერიტორიაზე. ქსელის ნაწილი საჭიროებს რეაბილიტაციას, რის გამოც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ეტაპობრივად ხორციელდება წყალმომარაგების ქსელების აღდგენითი და გაფართოების სამუშაოების განხორციელება.<br>მწვავედ დგას წყალმომარაგების სიტემების მოწესრიგების საკითხი სოფლად დასახლებულ მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. წყალმომარეგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდების ღონისძიებების უზრუნველყოფა ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.<br>საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ 2025 წელს დასრულდა წყალმომარაგების სისტემის მოწყობა ვაკიჯვარის, ფამფალეთის, ბაღდადის ბახვის და ქვ. ბახვის, დვაბზუს, გაღმა დვაბზუს, ცხემლისხიდის და მშვიდობაურის დასახლებულ ერთეულებში.<br><br>მომზადდა საპროექტო დოკუმენტაციები ს. ოზურგეთის, ციხისფერდის, გურიანთის, მელექედურის, მერიის, ნაგომარის, ხვარბეთის, ნაღობილევის, კონჭკათის, თხინვალის დასახლებული ერთეულების წყალმომარაგების ქსელების მოწყობის სამუშაოებზე.<br>წყალარინების ქსელი მოწყობილია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიის ნაწილში და ჩართულია ქალაქის მოსახლეობის 60%. წყალარინების ქსელი მოწყობილია ურეკი-შეკვეთილი-კაპროვანის საკურორტო ზოლში.<br>**მიზანი:** მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგებით (მ.შ. ტექნიკური წყლით) და წყალარინებით უზრუნველყოფა |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის შექმნა და არსებულის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და განვითარება | მიღწეული შედეგი | საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ დასრულდა წყალმომარაგების სისტემის მოწყობა ვაკიჯვარის, ფამფალეთის, ბაღდადის, უჩხუბის, ბახვის და ქვ. ბახვის, დვაბზუს, გაღმა დვაბზუს, ცხემლისხიდის და მშვიდობაურის, ოქროსქედის დასახლებულ ერთეულებში.<br>სულ 2025 წელს წყალმომარაგების გაფართოებისა და რეაბილიტაციის მიზნით, 27 ობიექტზე განხორციელდა წყალმომარაგების ქსელების გაფართოების და სარეაბილიტაციო სამუშაოები, სხვადასხვა დასახლებაში<br>შ.პ.ს.სატისი 3100 აბონენტს მოემსახურა. პერიოდულად ხდება დასახლებებში წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| დასახლებების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია წყალმომარაგება | 34 | 36 | 36 | 0% | . |
| წყალმომარაგების ქსელით მოსარგებლე ბენეფიციარების პროცენტული შეფარდება მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობასთან | 60 | 64 | 64 | 0% | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წყალარინების სისტემის აბონენტების საერთო რაოდენობა | 8540 | 8600 | 8600 | 0% | |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება(0203) |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **მიზანი:** მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა;<br>მოსახლეობისთვის დასვენებისა და გართობის მიმზიდველი გარემოს შექმნა.<br>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში (მ.შ. ქალაქში) საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. საკურორტო ინფრასტუქტურის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციას. ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორების დასვენებისა და გართობის მიზნით ყოველწლურად ხორციელდება პარკებისა და სკვერების მოწყობა და არსებული სივრცეების განახლება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 30 ერთეული 412284,70 კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. რეაბილიტირებული პარკების წილი შეადგენს 60%. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის მოწყობა; ახალგაზრდებისათვის მიმზიდველი დასვენებისა და გართობის გარემოს შექმნა; | მიღწეული შედეგი | სულ 2025 წელს განხორციელდა 5 ერთეული სკვერის კეთილმოწყობა.<br>სულ 2025 წელს განხორციელდა 24 ერთეული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაო.<br>(მ.შ. ათ საჯარო სკოლაში ინფრასტრუქტურული პროექტები) |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| რეაბილიტირებული ან მოწყობილი სკვერების და პარკების რაოდენობა | 2 | 2 | 5 | | სკვერების რეაბილიტაციის და კეთილმოწყობის სამუშაოები დამატებით განხორციელდა „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ და „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხებით |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეაბილიტირებული ან მოწყობილი საზოგადოებრივი სივრცეების რაოდენობა | 17 | 2 | 24 | | სამუშაოები დამატებით განხორციელდა „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ და „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხებით, ასევე „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | პროექტირება და ექსპერტიზა (0204) |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **მიზანი**: ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი. **აღწერა:** სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადება. შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივი ექსპერტიზის განხორციელება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | შესრულებული და წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო პროექტების მაღალი ხარისხი;<br>სამშენებლო ნორმებისა და ტექნიკური პირობების შესრულების კონტროლი;<br>დაპროექტებული ობიექტები | მიღწეული შედეგი | მომზადდა შიდა გზების სარეაბილიტაციო პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები. განხორციელდა წყალმომარაგების ქსელების მოწყობის სამუშაოების პროექტირება; მომზადდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების და სივრცეების მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება; განხორციელდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება. სულ მომზადდა 138 ერთეული საპროექტო დოკუმენტაცია. განხორციელდა ექსპერტიზა 90 ერთეული სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| მომზადებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა | 55 | 55 | 138 | 200% | მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციების რაოდენობის ზრდა განაპირობა გაუთვალისწინებელი სტიქიის სალიკვიდაციო პროექტების რაოდენობამ |
| ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა | 90 | 90 | 90 | 0% | |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | სამოქალაქო ბიუჯეტი (0205) |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **მიზანი**: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა **აღწერა:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებული პროექტის - მონაწილეობითი ბიუჯეტის (იყავი თანამმართველი) ფარგლებში ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მოქალაქეების (საინიციატივო ჯგუფები)–ს მიერ წარმოდგენილი და კენჭისყრის შედეგად გამარჯვებული პროექტების შესაბამისად სკვერების, საბავშვო კუთხეების, მინისტადიონების და სხვა ტერიტორიების მოწყობა - რეაბილიტაცია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის შესაბამისად საპროექტო განაცხადის წარდგენა (რეგისტრაცია) ხდება ელექტრონული წესით, ამისთვის სპეციალურად შექმნილი მართვისა და ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ელექტრონული მისამართია http://votes.oz.gov.ge. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში | მიღწეული შედეგი | 2025 წელს განხორციელდა ქ. ოზურგეთში სკვერების მოწყობა. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| განხორციელებული პროექტი | 2 | 2 | 2 | 0% | |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | ზინათმშენებლობა (0206) |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **მიზანი**: მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა და ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების მოწესრიგება. **აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების შეკეთება-აღდგენა, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მრავალბინიანი სახლების საერთო საკუთრებაში არსებული ეზოების კეთილმოწყობა, მოსახლეობის (მ.შ. ბავშვების) დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების შექმნა და მოწესრიგება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო | მიღწეული შედეგი | 2025 წლის განმავლობაში განხორციელდა ქ. ოზურგეთში, მრავალბინიანი სახლებში სტიქიისაგან დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია და საკანალიზაციო სისტემების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია | 38 | 2 | 46 | | განხორციელდა 2025 წლის თებერვალში დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი სახლების (46 ერთეული) სახურავების რეაბილიტაცია. |
| მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია | 7 | 2 | 8 | 400% | სამუშაოები განხორციელდა პერიოდულად, მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე. |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | გარე განათება და ელმომარაგება (0207) |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **მიზანი**: ღამის საათებში მოსახლეობის მ.შ. ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა **აღწერა:** პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება | მიღწეული შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია სულ 20529 ერთეული სანათი, მ.შ. 11994 LED სანათი. 2025 წელს ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების სერვისცენტრის“ მიერ მოეწყო და გამოიცვალა დაზიანებული სანათი მოწყობილობები. ელექტროენერგიის ხარჯის დაფარვას სტაბილურად უზრუნველყობს მუნიციპალიტეტის მერია. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიების %, სადაც ხელმისაწვდომია გარე განათების სერვისი | 68 | 69 | 69 | 0% | |
| გარე განათების წერტილების რაოდენობა სულ | 19938 | 20200 | 20529 | 0% | სამუშაოები დამატებით განხორციელდა „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხებით |
| დასახლებული ერთეულების გზების საერთო სიგრძე, სადაც მოწყობილია გარე განათება (კმ) | 587 | 590 | 591 | 0% | |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | მუნიციპალური ტრანსპორტი (0208) |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური, შ.პ.ს. ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **მიზანი**: მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხორციელებული სატრანსპორტო მომსახურება; - დროულად და კომფორტულად გადაყვანილი მგზავრები, მ.შ. უფასოდ გადაყვანილი სკოლის პედაგოგები; - მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლირებადი ტარიფებით მგზავრთა მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკირების მოწესრიგება. **აღწერა:** აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შ.პ.ს. ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ოცდასამ დასახლებულ ერთეულში მგზავრების რეგულარული გადაყვანა. შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს ბალანსზე ირიცხება 12 სატრანსპორტო ერთეული (სამგზავრო ავტობუსი), მათგან რვა ერთეული არის ახალი, კომფორტული ავტობუსი. დღის განმავლობაში მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება შვიდ მარშრუტზე: ოზურგეთი-კვირიკეთი-წითელმთა-შემოქმედი-გორისფერდი--გომი - ათი რეისი; ოზურგეთი-ნაგომარი-ორი რეისი; ოზურგეთი-დვაბზუ-ცხემლისხიდი-ბაღდადი-ვაკიჯვარი -ექვსი რეისი; ოზურგეთი-ქვ. ბახვის გადასახვევი - ხუთი რეისი; ოზურგეთი-ლაითურში-ნარუჯა - ხუთი რეისი; ოზურგეთი-ურეკი - ოთხი რეისი; ოზურგეთი-მთისპირი -ორი რეისი. შ.პ.ს. ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიის მიერ სრულდება ყოველდღიურად 34 რეისი, შვიდ მარშრუტზე. მგზავრთა ჯამური ადგილი შეადგენს 264 ერთეულს, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების სიტემის მოწესრიგება სპეციალურად გამოყოფილ ზონებში. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება და უზრუნველყოფლია მგზავრთა რეგულარული გადაყვანები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწესრიგებულია ავტომობილების პარკინგის სისტემა. | მიღწეული შედეგი | სტაბილურად განხორციელდა მგზავრების გადაყვანა. ქალაქის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების სიტემა მოწესრიგებულია სპეციალურად გამოყოფილ ზონებში. |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა | 63000 | 91000 | 91050 | 0% | |
| შესრულებული რეისების რაოდენობა | 6600 | 9280 | 9280 | 0% | |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (0209) |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **მიზანი**: სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. **აღწერა:** სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობებთან შეხვედრების განხორციელება, მათი მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელი პრიორიტეტები შერჩევა და პრიორიტეტების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციების შესაბამისად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით სოფლად გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა | მიღწეული შედეგი | სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობებთან შეხვედრების განხორციელება, მათი მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელი პრიორიტეტების შერჩევა და პრიორიტეტების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო წინადადებების შესაბამისად ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. მოსახლეობასთან შეხვედრებში გათვალისწინებული იყო დამსწრე ქალთა და მამაკაცთა მიერ დასახელებული პრიორიტეტები. 2025 წელს აღნიშნული პროგრამით განხორციელდა მ-300 მარკის მზა ბეტონის ნარევის და მზა მავთულის ბადის შესყიდვა და მიწოდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში, ბეტონის გზების მოსაწყობად. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა დასახლებულ ერთეულებში გზების სავალი ნაწილის კრიტიკულ მონაკვეთებზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა 8603 კბმ მოცულობის ბეტონით, რაც შეადგენს 19,1კმ-ს |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა | 150 | 150 | 150 | 0% | |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია (0210) |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | **მიზანი**: სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სტიქიის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება **აღწერა:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ათწლეულობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირი წვიმების შედეგად გამოწვეული წყალუხვობის დროს ზიანდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაპირსამაგრი ნაგებობები (გაბიონები და ნაპირდამცავი კედლები), ასევე კალაპოტებიდან გადმოსული წყალმოვარდნების შედეგად ზიანდება მდინარეების მიმდებარედ არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და ხიდები, საგზაო ნაგებობები, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და სხვადასხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. ქარიშხლების ზემოქმედების შედეგად, ათწლეულობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ადგილი აქვს მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების დაზიანებას. პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სამუშაო ჯგუფების მიერ ხორციელდება გამოწვეული ზარალის შეფასება და აღნიშნულ მასალების წარდგენა საქართველოს მთავრობასთან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შესაბამისი სახსრების გამოყოფის მიზნით. გამოყოფილი თანხების შესაბამისად ხორციელდება სტიქიის შდეგეად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ასევე კერძო მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია და სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების გადაცემა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაგეგმილი საბოლოო შედეგი | ლიკვიდირებულია სტიქიით გამოწვეული შედეგები | მიღწეული შედეგი | საანგარიშო პერიოდში მოეწყო: 9 (ცხრა) ერთეული ხიდი და 5 (ხუთი) მილხიდი, მოეწყო საყრდენი კედელი, საერთო სიგრძით - 382 გრძ.მეტრი, სანიაღვრე არხები, საერთო სიგრძით - 350 გრძ.მეტრი. განხორციელდა 88000კვმ საერთო ფართობის 373 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის და 17 500 კვმ საერთო ფართობის 46 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები |

| დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობა, სადაც განხორციელდა სალიკვიდაციო სამუშაოები | 0 | 0 | 30 | 0% | |
| სტიქიით დაზარალებული, დახმარებაგაწეული ოჯახების რაოდენობა | 0 | 0 | 850 | 0% | |